ეროვნული ბიბლიოთეკა

# მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვის დასდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11 28).

№ 16 1883—1895 30 აგვისტოს

## არქიმანდრიტი ლეონიდი, მისსიონერი და სკოლების ინსპექტორი კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგინებელი საზოგადოებისა.

წინანდელ დროში უმეტეს ნაწილად საქართველოის უმთავრეს მონასტრებიდან, რომელნიც იყვნენ პალესტანას და სინას მთაზე, გამოდიოდნენ ღრმად განსწავლილნი და ღირსეულად მომზადებული პირები სასულიერო სარბიელზე საასპარეზოდ. ამ სავანეებმა არა ერთი და ორი შესანიშნავი სასულიერო მოასპარეზე მოუვლინეს საქართველოს. მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს კი მათ ცოტა ფერი იცვალეს და სხვა და სხვა ხელის შემშლელმა პირობებმა შეასუსტეს მათი წინანდელი სიუხვე და ძლიერება. იშვიათად და თუ გამოერეოდა სასულიერო მოღვაწეობის ასპარეზის უმაღლეს საფეხურზე მდგომი პირები, თორემ განიადაგებით მათ ვერ ვხედავთ საქართველოს არე მარეზე. მრავალი სასულიერო მოღვაწე იყო მას შემდეგ, მაგრამ მათ საიმისო შესანიშნავი არა მიუძღვისთ რა. მაგრამ თუ გონებით სალაროს მათ ვერაფერი შემატეს, და არც იყვნენ ისე ღრმად განსწავლილნი, მაინც მათი კეთილ ზნეობით აღსავსე ცხოვრება, იმდენად სასარგებლო და მნიშვნელოვანი იყო სამწყსოთათვის, რომ მატიანემ მათი სახელები აღნიშნა და შთამომავლობამაც ნეტარსახსენებლად მიიჩნია. რასაკვირველია, ბევრი არის ამის მიზეზი და რთული ასახსნელიცაა, რაიც ცალკე გამოსაკვლევია და განსამარტებული. ამ ქიმად კი მოკლე წერილში ამას მხოლოთ გაკვრით შევეხეთ.

ამ საუკუნის დამდეგიდან თან და თან სასიამოვნო მოვლენას ვამჩნევთ—უმაღლეს სწავლადამთავრებულ ქართველებს ემჩნევად ეპისკოპოსად შესვლის სურვილი. ამ გვარ პირებს ეკუთ-

ნიან იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი, გორის ეპისკოპოსი ალექსანდრე. ორივე კარგა ხანია იღვწიან ქრისტეს ეკკლესიის ყანაზე და იცავენ ქრისტეს ეკკლესიას ურწმუნოების კეთრისაგან და ეხლანდელი დროის მტერთაგან. ამ ყველასაგან პატივცემულ მწყემსთ მთავართა მაგალითს მიმბაძველები აღმოუჩნდა ჩვენ განათლებულ საზოგადოებაში. ამ გვარ პირებს ეკუთნიან — არქიმანდრიტი ლეონიდე, თავადი ი. აბაშიძე, რომელიც უნივერსიტეტის სწავლა დამთავრებული კიევის აკადემიაში შევიდა და ამ ჟამად იქაც სწავლას ამთავრებს, და ამბროსი ნახარების მონასტრის წინამძღვარი, ქრისტ. აღმადგ. საზოგ. მისსიონერი. სასიხარულოდ ჩვენდა ამგვარივე სურვილი სხვა ქართველებშიდაც იდგამს ფეხს და თან და თან ძლიერდება. ბევრს სურს შავ სამღვდელოებაში მოღვაწეობა და ღმერთს ექნას, ეს ხმები კეთილად და მართლად დაგვირგვინებულიყოს!...

აგერ რვა წელიწადია, რაც არქიმანდრიტი ლეონიდი მოღვაწეობს საამდროოდ ძალიან ძნელ სამისსიონერო ასპარეზზე. ამ სარბიელზედ მისი სამსახური იმდენად საყურადღებოა, რომ საჭიროდ ვრაცხთ ვაუწყოთ საზოგადოებას მისი ბიოგრაფიული ცნობები.

არქიმანდრიტი ლეონიდი, ერისკაცობაში ლონგინოზ ოქროპირიძე, სოლომონ მღვდლის შვილი ჯერ კიდევ თბილისის სასულიერო სასწავლებლის მოწაფედ იყო. რომ ყველა მოწაფეების და მასწავლებლების ყურადღებას იზიდავდა, როგორც ღვთის მოსავი, სათნო ხასიათის და სწავლაში გულდასმით მშრომელი მოწაფე. ლონგინოზ ოქროპირიძე მუდამ პირველი იყო სწავლით და საერთოდ მასწავლებელთა და მოსწავლეთა საყვარელ პირად ჰყავდათ მიჩნეული, რომელნიც ატყობდნენ მას კრძალულებით და სათნო ღვთისმოსავ ცხოვრებას და სასწავლებელშივე ეძახდნენ მას ბერს. სასულიერო მოღვაწეობისადმი მისწრაფება და ბერული ცხოვრების ტრფიალი მას თანდათან ემატებოდა და ეძლიერდებოდა. თბილისის სასულიერო სასწავლებლიდან, სწავლის დამთავრებისას, ლონგინოზ ოქროპირიძე შევიდა კავკავის სასულიერო სემინარიაში, სტავროპოლის გუბერნიაში, სადაც სწავლობდა 1884 წლის 2 ივნისის თვემდე. დაამთავრა იქ სწავლა პირველობით და გაგზავნილ იქმნა კიევის სასულიერო აკადემიაში, სადაც შევიდა 31 მარიამობისთვეს 1884 წელსა. ბერობის სურვილი ნამეტნავად აკადემიაში გაუძლიერდა მას. კიევის აკადემიის მეოთხე კურსზე გადასვლისას, მან შეიტანა ბერად შესვლის თხოვნა. შემდეგ დაამთავრა წარჩინებულად სასულიერო აკადემიის სწავლა, მიიღო ღვთისმეტყველების კანდიდატობის ხარისხი, ხელდასხმულ იქმნა მღვდელ მონაზნად და გამოემართა სასამსახუროდ საქართველოსაკენ. მაშინდელმა საქართველოს ექსარხოსმა პალლადიმ მღვდელ მონაზონ ლეონიდს ძალიან ძნელი და პასუხსაგები მოვალეობა დააკისრა — დაავალა ქრისტიანობის აღმადგინებელ საზოგადოების მისსიონერობა და სკოლების ინსპექტორობა. თავის მოღვაწეობის დასაწყისიდგანვე მან მიითვისა და დაიახლოვა ყველანი, ვისთანაც კი მას საქმე უნდა დაეჭირა. თავაზიანმა და გულახდილმა მამა ლეონიდმა გაამხნევა თითქმის სასოწარკვეთილი მასწავლებლები ქრისტ. აღმად. საზ. სასწავლებლებისა; გაუღვიძა მოწაფეებს ცნობის მოყვარეობა გასავლელ საგნების შესათვისებლად. აშკარად შეაგნებია მოსწავლეთა მშობლებს ბავშების ქრისტიანულ სარწმუნოებაზე აღზრდის უპირატესობა და საჭიროება. ერთხელ ზაქათალის ოლქის მასწავლებლებთან ერთად იქაურმა ქრისტიანებმა უგულითადესი მადლობა შესწირეს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესს პალლადის, საქართველოს ექსარხოსად ნამყოფს, მღვდელ მონაზონ ლეონიდის მისსიონერად დანიშვნისათვის.

მღვდელ მონაზონმა ლეონიდმა განწესებისას ჩაიბარა 25 სასწავლებელი, და მცირეს ხანში გაათრკეცა მათი რიცხვი; ყველგან დაიყოლია ხალხი სასწავლებლისათვის ახალ და მოხერხებულ შენობების ასაშენებლად, და მშობელთაც ჩააგონა ბავშების სასწავლებლებში მიცემა.

ერთგულის სამსახურისათვის და სამაგალითო ცხოვრებისათვის მღვდელ-მონაზონი ლეონიდი 1889 წლის 1 იანვარს დაჯილდოე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულ იქმნა საბარკულით. იმავე წლის 2 აგვისტოს დაინიშნა ქართლის საეპარქიო სამასწავლებლო რჩევის წევრად. სასარგებლო და ნაყოფიერ სამ. სიონერო მოღვაწეობისათვის 1889 წ. 15 მაისს დაჯილდოებულ იქმნა კერდის ჯვრით. ამ დაკისრებული მოვალეობის ერთგულად წამძღვარებისათვის და წარჩინებულ სასულიერო ცხოვრებისათვის აღყვანილ იქმნა წინამძღვრის ხარისხად და დაინიშნა 1 ნოემბერს 1889 წ. ზედაძნის მონასტრის წინამძღვრად. 6 მაისს 1893 წ. უწმიდესი სინოდის უქაზისამებრ დანიშნულ იქმნა ხირსის, სტეფანეს მონასტრის წინამძღვრად და აღყვანილ არქიმანდრიტობის ხარისხზედ მისიონერის და ინსპექტორის თანამდებობაზედ დარჩენით. იმავე წლის 24 ნოემბერს არქიმანდრიტი ლეონიდი დაინიშნა ქართლ-კახეთის ეპარქიის მონასტრების ბლაღოჩინად.

თითქმის ყოველ წირვის დროს თუ მონასტერში თუ ეკკლესიაში მამა ლეონიდი მოძღვრებას და ქადაგებას ეუბნება ხალხს, და დიდ შთაბეჭდილებასაც ახდენს მსმენელებზე. ზოგი მის მოძღვრებათაგანი კიდევაც დაბეჭდილა და იბეჭდება სხვა და სხვა დროს.

მამა ლეონიდის მოღვაწეობა, როგორც უბრალო სამისსიონერო ბაასი კერძო ადამიანთან, ისე მოძღვრება მრავალთათვის წარმოთქმული, არ იკარგება უნაყოფოდ, რადგანაც მან კარგად იცის ადგილობრივ მკვიდრთა ყოფა ცხოვრება, ზნეობრივი ელფერი, გონებრივი შეხედულობა და მათი სარწმუნოებრივი გრძობა. ყოველი მისი სიტყვა ღირსეული ნაყოფით გვირგვინდება, რადგანაც იგი შეხამებულია და ზედ გამოჭრილი ადგილობრივ პირობებთან. ეს აორკეცებს ლეონიდის მოღვაწეობის სარგებლობას, რა თქმა უნდა, რომ ერთი და იგივე სიტყვა სხვა-დასხვა პირთაგან, სხვა ნაირად გარდაიცემის და ინერგება მსმენელ საზოგადოებაში, რომ კიდევაც ერთნაირი ჭკუისა და სწავლის იყვნენ მათი წარმომთქმელები. როდესაც ერთი ვერ ახერხებს ცოცხლად და ნაყოფიერად გადაცემას რაიმე ჭეშმარიტებისას, ზოგი იმავე ჭეშმარიტებას ყველასათვის მკაფიოდ არკვევს და ყველასათვის თვალ საჩინოდ ხდის. აქ ყველაფერი მოხერხებაზე ჰკიდია, თუ რამდენად მარჯვედ შეუხამებს ადამიანი თავის სიტყვას მობაასის ანუ მსმენელის გონებრივ განვითარებას და მის ბუნების თავისებურობას. ეს უთუოდ აუცილებლად საჭიროა ყოველი მქადაგებელისათვის და ხალხის დამაკვალიანებელ ასპარეზზე მდგომ პირისათვის. უამისოდ არავითარი ჩაგონება და დაკვალიანება არ შეიძლება. და ეს მოთხოვნილება ვისთვინ არის ისე ადვილად შესასრულებელი თუ არ იმავე ბუნების შვილისათვის, რომელიც სიყრმითვე თანშეზრდილია თავის ბუნებასთან და თანამოძმის სვე-ბედთან. ამ გვარ კაცს კიდევაც შეუძლია და გარემოებაც შესწევს რომ ზემოთ აღნიშნულ მოვალეობას ღირსეულად წაუძღვეს და პირნათლად აღასრულოს თავისი ვალდებულობა. ეს გარემოება, თუმცა ყველასაგან მივიწყებულია, მაგრამ დიდად საგულისხმოა ყოველ ასპრესზე, და მეტადრე ქრისტეს სარწმუნოების უზენაესი მიზნის მსახურების ასპარესზე, სადაც ყველაფერი დამყარებული უნდა იყოს სულიერ დაახლოებაზე, ერთობაზე და კეთილ რჩევა-ჩაგონებაზე. თუ კავშირი ამგვარ ნიადაგზე არ არის დამყარებული, თუ ყველაფერი არ არის დაფუძნებული ურთიერთის საჭიროების და ვითარების გათვალისწინებაზე — ვერავითარი სულიერი კავშირი ვერ დამყარდება. მაშინ დაკისრებული მოვალეობის აღსრულება მხოლოდ პირის საფეროდ ადგილზე ყოფნას დაემსგავსება და ვერც დაირქმევს რიგი ნობის სახელს. სხვაგანაც ძნელი ასატანია ეს შეუხამებლობა, მეტადრე სარწმუნოების საქმეში ეს ძნელი საგუებელია. ზემოთ აღნიშნული სასურველი დამოკიდებულება როგორც სამწყემსო მთავრო ასპარეზზეა საჭირო ისე უბრალო მწყემსობის ასპარესზედაც.

რა თქმა უნდა, რომ ყოველ მწყემსთ მთავარს ერთნაირი სახელი არ აქვს დამსახურებული საზოგადოებაში და არც ყველა ერთნაირად ნაყოფიერია თავის მოღვაწეობით. ამასთან, ზოგი მათგანი მართლაც შესისხლ ხორცებულია თავის სულიერ შვილებთან, როდესაც სხვა ამ ღირსებას სრულებით მოკლებული

არიან. რამდენადაც სახარბიელოა პირველის სვებედი, რამდენადაც სასურველია იმგვარი ურთიერთობა, იმდენად სამწუხაროდ და არა სანატრელია უკანასკნელების ბედი. ამისათვის დიდის აღტაცებით და კმაყოფილებით უნდა ეგებებოდეს ყოველი ადამიანი, როდესაც ხედავს ჭეშმარიტად ქრისტიანულს ძმურს კავშირს მწყემსთა და მწყემსთმთავართა შორის. მაგრამ, სამწუხაროდ, საიშვიათოა ასეთი მოვლენა; მაგრამ თუ კი შეხვდა ადამიანს, ლმობიერებით და სათნოებით ავსებს მნახველის გულს. მაგალითად იშვიათად შეხვდება ადამიანს ისეთი კავშირს მწყემსთ მთავარსა და მწყემსთა შორის, როგორც დამყარებულია ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოზს გაბრიელსა და მის სასულიერო სამწყსოს შორის. იშვიათად შეხვდებით მის ეპარქიაში ისეთ ადამიანს, რომ თავის მწყემსთ-მთავრისადმი არ იყოს გამსჭვალული პატივის ცემით და კრძალულებით. არ არის კუნჭული რომ მას თავის ფეხით არ დაეაროს და თავისი ხმა არ მიეწვდინოს. ყოველი მისი სიტყვა ღრმად ჩაბეჭდილა მსმენელის მეხსიერებაში და დაუვიწყარი კვალი დაუჩენია, მისი ქადაგება ზედ გამოჭრით შეხამებული. ხალხის საჭიროებასთან და მის ბუნებასთან. ხშირად მთელ მხარეს შემოვლის ხოლმე სიტყვიერად გადაცემული. რომ ყოვლად სამღვდელო გაბრიელი უცხოდ იყოს მოკლებული თავის ასპარესზე, რომ მას თვალ ნათლად არ ჰქონდეს წარმოდგენილი თავის სამწყსოის შეხედულება და ბუნება, რომ ყოველ კუნჭულს ის არ აწვდენდეს თავის მწყემსთ-მთავრულ სიტყვას და პირადი ნახვით და ბაასით არ ხიბლავდეს მსმენელს, იგი ვერასოდეს ვერ მოიხვეჭდა ასეთ გავლენას, ვერ მოიმკიდა ასეთ უხვ ნაყოფს და ვერ აუჩნდებოდა ხალხს ასეთ ღირსეულ სულიერ მამად და მწყემსთ მთავრად. და რამდენადაც სასურველია და სანატრელი ასეთი მოვლენა, იმდენად საჭიროა რომ ზემოდ ხსენებული საჭიროება ყველგან და ყოველთვის დაცულ იქნეს!...

---

## კიდევ ფუჭი და ამაო ზრუნვა მეგრული მწერლობის გაჩენისა და ლოცვისა და ღვთისმსახურების ქართულიდან მეგრულად გადათარგმნის შესახებ.

(დასასრული).

მოვიყვანთ კიდევ ასამაღლებელს: აღემართენით მიმღებელნი საღმრთოთა წმიდათა უხრწნელთა, უკვდავთა ზეცისა ცხოველთა საშინელთა ქრისტეს საიდუმლოთა ღირსებით ვმადლობდეთ უფალსა.—

უმორჩილესად ვთხოვთ ქართულისა და მეგრულის მცოდნე პირებს, გაიხარჯონ და გადაგვითარგმნონ ეს ადგილი; ერთი ვნახოთ რომელი წყაროდან მოიძებნიან ისინი შესაფერს მეგრულ სიტყვას ამ ალაგის გადასათარგმნად. ჩვენ კი ჩვენდა თავად სიტყვების უმექონლობის გამო უარს ვამბობთ და არც შეგვიძლია.

ან და ეს ალაგი: უფალო და მეუფეო ცხოვრებისა ჩემისაო, სულსა უქმობისასა, და მიმოწვლილელობისასა, მთავრობის მოყვარებისასა და ცუდად მეტყველებისასა ნუ მიმცემ მე; ხოლო სული სიწმიდისა, სიმდაბლისა, მოთმინებისა და სიყვარულისა მომადლე მონასა შენსა. ჰე უფალო და მეუფეო, მომანიჭე მე განცდად თვისთა ცოდვათა და არა განკითხვად ძმისა ჩემისა, რამეთუ კურთხეულ ხარ შენ საუკუნეთა უკუნისამდე ამინ.

ჩვენის აზრით ამის გადათარგმნაც შეუძლებელია; მაგრამ შეიძლება ვინმემ დაგვწამოს, ვითომ ჩვენ ან არ ვიცოდეთ მეგრული, ან არ გვსურდეს გადათარგმნა. ამისათვის გადავთარგმნით რამდენადაც შესაძლოა; მაგრამ ვგრძნობთ, რომ თარგმანი კი არ იქნება, არამედ დამახინჯებული ქართული იქნება.

უფალი და მეუფე ჩქიმი ცხოვრებაში, უსაქვაროებაში, უმეცადინობაში, უჩაშალაში, ყოროფაში დო ცუდი რაგადიში შურს ნმეჩანქ, შური სიწმინდეში, სიმდაბლეში, მოთმინებაში დო ყოროფაში ქომიჭყოლოფი სქანი მონას. ჰე უფალი დო მეუფე მუმანიჭი გოჩინებუა ჩქიმი ცოდაში ვარ მოკითხირი

---

*) იხ. «მწყემსი»-ს № 15 1895 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩქამი ჯიმაში. ამას იქით კი დუხჭირათაც არ გადაითარგმნება!

ეხლა დავთვალოთ რამდენი სიტყვაა სულ ამ თარგმანში. სულ არის 37 სიტყვა. მერე რამდენია მათში მეგრული. მგონი, არც ერთი; ქართული კი ძალიან ბევრია: ყველა ქართული სიტყვაა ერთის გარდა (უჩაში), რომელიც არის თათრული. განვიხილოთ ეხლა ეს სიტყვები:

1) «უჩაში» ნასესხებია თათრული ენიდან, «ჩაუშ» არის უფროსი ბოქაული.

2) «ყუროფა» ნასესხებია ქართული ენიდან «სიყვარულობა».

3) «მური» პირ და პირი ქართული სიტყვაა, მეგრულად კი ვითომ სულის მაგიერი.

4) «ჭყოლოფუა», არის გადასხვაფერებული სიტყვა წყალობა.

5) «ჩინება» თვალის ჩინი.

6) «ჯიმა», დამახინჯებული ძმა. ძ მაგივრად არის დასმული ჯ.

მაშ, განა ამას თარგმანი ეთქმის? სრულებითაც არა! როდესაც რაიმე ითხზვება თვითარსს, ცალკე კილოზე, მაშინ შეიძლება მხოლოდ რამდენიმე სიტყვების სესხება სხვა ენისაგან, და თუ კი თარგმანში მეტი ნაწილი სიტყვებისა სხვა ენიდან არის ნასესხები, მაშინ ხომ ამას სრულებითაც თარგმანი ვერ ეწოდება; ეს იქნება მხოლოდ გადამახინჯებული გაუგებარი სიტყვების გადასხ-გადმოსხმა.

ამნაირად ღარიბი ენა ან კი რა ნაირად მოიცევს ლექსიკონს, სიტყვებს რაიმე დინჯ თხზულების გადასათარგმნად! განსაკუთრებით კი ლოცვების და წირვის გადასათარგმნად! ეს იმას ემგვანება, რომ ადამიანმა ჩამოართვას ლოცვას უზენაესი საღმრთო ძალა, ურომლისოდაც გული ჰპოება სულიერი სიტკბოება, რომლითაც სული წმიდამ დაასხურა ღვთის შთაგონებით დაწერილი ლოცვები.

ამგვარ თარგმანებში მარტო სიტყვები კი არ არის დუხჭირი, არამედ აზრი და სიტყვასაც თვისი მნიშვნელობა დაკარგული აქვსთ, და ის გრძნობის სიღრმე და კრძალულება, რომელიც გასჭვირის ქართულ ლოცვებში, აქ მოსპობილია.

მაგალითად 1) ქართულად «სული უქმობისა», მეგრულად გამოდის: უმუშაობად, საქმის გაუკეთებლობად; არ იცის კი კაცმა რა საქმეზე არის ნათქვამი, შეშის დაჭრაზე, თუ მიწის ხნაზე.

2) «სული ცუდათ მეტყველებისა»-მეგრულად გადაღებულია: ცუდ ზაასათ, ლაპარაკიდ.

3) «განცდათ თვისთა ცოდვათა» მეგრულ თარგმანში გამოდის: გაცნობა თავის ცოდვებისა.

დასასრულ ყოვლისა, ჩვენის აზრით, უმჯობესია ამ საქმის შესახებ ყოველ გვარი ცდა მოსპობილ იქნეს, რადგანაც ამისთანა განზრახვა ულაგოა, ზედ მეტია და შეუსაბამო იქნება. გარდა ამისა თვით მეგრული კილო ეწინააღმდეგება ამ განზრახვას, რადგანაც მას არ აქვს, როგორც ზემოთაც დამტკიცებული იყო, თავისი, თვითარსი სიტყვები, არამც თუ რთულ და უზენაეს წინადადების და აზრის გამოსახატავად, არამედ სულ უბრალო ცნების წარმოსათქმელადაც. და თუ მაინცა და მაინც ზოგს, რომელსაც არ ესმის არც საქმის ვითარება, არც ქართული ენა და არც მეგრული კილო, მაინც კიდევ ყოველგვარი დუხჭირი თარგმანი ჭეშმარიტებად მიაჩნიათ და მაინც ჯიუტობას არ იშლიან თავის განზრახვის მისაწდომად, და მაინც და მაინც გვაჩრიან ამ უბადრუკ თარგმანებს, ისინი ძალიან სცდებიან, და როგორც სინიდისს მოკლებული მოღვაწეები ართმევენ ერს მის სამკვიდრო სიმდიდრეს, ე. ი. ღვიძლ ენას ქართულს და უზენაეს ლოცვების მაგივრად, რომლითაც ხალხი თოთხმეტი საუკუნის განმავლობაში ადიდებდა და ადიდებს მაცხოვარს, გვაძლევენ ბუნდე სიტყვებს, გადასხვაფერებულ ნაპერწკალს სასოებისას და კეთილკრძალულებისას, რომელთაც არავითარი მსგავსება არ აქვსთ ჩვეულებრივ ქართულ ლოცვებთან, სადაც ყოველი სიტყვა გვარწმუნებს, რომ იგი სარწმუნოებრივი გრძნობის სიღრმიდან არის აღმონაცენი და უზესთაესი ნუგეშინის მცემელისადმი არის გზის გამპრწყინვებული.

რათა არ დაითრგუნოს მართლ მადიდებელ კოლხიდელების, აწ მეგრელების თვალში მაცხოვ-

რის უწმინდესი სარწმუნოება და მით არ შთავარდეს ხალხი ცდუნებასა და მწვალებლობაში, ყოველმა ჩვენგანმა უნდა ღალად ჰყოს: გვიხსენ ჩვენ ღმერთო ასეთ სულის დამღუპველ მოვლენათაგან!...

---

წინად მოყვანილ ორ წევრთა მოსაზრებას გარდა ჩვენ კიდევ შეგვეძლო ზოგიერთა მოსაზრების მოხსენება, მაგრამ საიმისოდ საჭიროდ არ ვსცანით, რადგანაც ეს ორიც საკმარისია. მათში თითქმის ყოველი უმთავრესი მოსაზრებაა გამოხატული, რაც კი ამ საგნის შესახებ ვინმეს მოსვლია: ეს არის მთელი საზოგადოების გრძნობის გამომხატველი. ესეც კმარა იმისთანა ადამიანისათვის, რომელსაც ჭეშმარიტება ყველაფერს ურჩევნია. ამდენი სიტყვაც არ დაგვჭირდებოდა, რადგანაც ბევრი დამტკიცება საეჭვო რამეს თუ ეჭირვება, თორემ ასეთ თვალ-საჩინო სინამდვილეს რაღად უნდა ესაჭიროებოდეს, მაგრამ რა გაეწყობა, ხან და ხან ჭეშმარიტებაც საკამათოდ გახდება ხოლმე!...

ზემოთ მიყვანილი მოსაზრება, არის ყოველი ქართველის აზრი, როგორც სამეგრელოში მცხოვრების, ისე საქართველოს დანარჩენ კუთხეების მკვიდრისაც. რასაკვირველია ზოგიერთ პირთა ახირებულ და განკერძოებულ აზრზე, რომელნიც სულ სხვა დასკვნას ადგიან ჩვენ არც კი არას ვიტყვით, რადგანაც მათი აზრი სრულებით დაუსაბუთებელია, და საქმის ვითარების უცოდინარობასთან ერთად, რაღაც განსაკუთრებული მიზნით განზრახ გადუხჭირებულია: იგინი ცოტაოდნადაც კი არ არიან დათანხმების და ყურადღების ღირსი. გარდა ამისა, არსად არ გაგვიგონია, და ვერსად ვერ ამოგვიკითხავს მათი აზრი, ცოტად მაინც დასაბუთებული და საფუძვლიანი. ქართული ენიდან მეგრულ კილოზე ლოცვების გადათარგმნის მომხრეთაგანი ვერც ერთი ვერ ბედავს აშკარად, თამამად და გონივრულად თავის მოსაზრების წარმოთქმას; პირ იქით ყოველი მათგანი მალულად მოქმედობს, დარცხვენილად და ფარულად. ჩვენ არ გვრწამს ასეთი აზრის ქადაგება და ამნაირი მიზნის სამსახური!...

დასასრულ ჩვენ უნდა დავემყაროთ ზემოთ მოყვანილ ორი წევრის მოსაზრებას, როგორც ჭეშმარიტს და ყველაფრად დასაბუთებულს. ამგვარი სრული და ჭეშმარიტი დასაბუთება ისტორიული ნიადაგის გათვალისწინებასთან დაკავშირებული და სატირალი ჰერმისის სურათით დაწყვდიადებული, ქართველი საზოგადოების ყოველ გონიერ წევრს გრძნობიერად ხვდება და ყველას მათგანს საერთო ნატვრით აკავშირებს, რათა მალე ვიხილოთ ამ საოცნებო პროექტების მოსპობა და საბოლოოდ ავიშოროთ თავიდან ვიღაც უცნობ ცვლილების შემომღებ ვითომდა მისსიონერთაგან მოვლენილი უსალაგო მზრუნველობა.

დეკ. დ. ღამბაშიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ძველი დროის თავ-გადასავალი.

(გაგრძელება *)

იჯდა მრავალს წელს ტახტზედა ბაგრატ მხნე გვირგვინოსანი,
მოუვლიდა თვისსა საყმოსა სკიპტროსან-გვირგვინოსანი:
აქებდა მისსა მეფობას მუტრიბი მრავალ-ხმოსანი,
ძლევნსა ჰსძლევიდიან ყოველნი მემზღვრენი მისის დროსანი.
საწუთოსა შვებით სრულმან და მეფობით დიდებულმან,
მოსრნა მბრძოლნი კაპარჭ-რტყმულმან, ვერსად ავნო საქმე მტრულმან,
სადავითოს მტილსა რგულმან, სალმრთოს ნიჭით აღვსებულმან,
განვლო დღენი ესრეთ მკულმან, მიიტაცა სიკვდილ-კრულმან.
შეიქმნა გლოვა ყოვლკერძო, აუშვეს ტყებით ზარები,
იწყეს ტირილი გუნდ-გუნდად, აღინეს ცრემლთა ღვარები;
მაშინ მიეცათ ქართველთა ჟამნი მძლედ გასამწარები,
ერთად იგლოვდეს გულწყლულად სრულად მთანი და ბარები.
მართლოსის ხვედრსა გამრავლდა გლახ ვოდებისა ხმანია,
იცემდეს, თავსა იპობდეს ერთობით მისნი სპანია,
ნაცარსა დასხდეს ფლასითა იგი ერთგულნი ყმანია,
ერთს წელიწადსა უკლებრად იყო ტყებისა ოქმანია.
შემდგომად შეკბნენ დიდ-დიდნი ყოვლად-სამღვდელოთ კრებულნი,
შევიდნენ სრასა სამეფოს გულითა შეწუხებულნი,
ცრემლნი ჰსდიოდათ თვალთაგან ხშირ-ხშირად მოჩქეფრებულნი,
მათთანა შეჰყვნენ მთავარნი სახელით ამაღლებულნი.

### გარდაცვალება ბაგრატისა, სახელოვანისა მეფისა და გამეფება ძისა მისისა, გიორგი ახოვანისა.

აწვიეს, ჰკადრეს მეფის ძეს, გიორგიდ სახელდებულსა,
მოახსენებდეს ტირილით მამისა ქმნილსა ქებულსა;
ვით დასდვა ხელი მფარველი ქვეყანას აოხრებულსა,
მის მიერ მისსა სიმხნითა ვგრძნობთ ქალაქი აღყვავებულსა.
აწ თუმცა ჩვენდა საკმაოდ უმათოდ ყოფა მწარია,
გარნა საღმრთოსა ბრძანებით იგი სულთ სასძლოს არია,
ვერა ვიქმნებით უმეფოდ მტერთათვის გასახარია,
გამოგვიღებენ ძალითა, სადა შორს ჩვენი მზღვარია.
მონანი გკადრებთ: რაზომცა გვაქვს ამად თქვენი თნებანი,
ვიცით შეედვას ქვეყანას უთქვენოდ აოხრებანი,
ამად გთხოვთ მამისა საყდარს საჯდომლად დაგვრთონებანი,
მეფობა განვრცნეს, განახლდეს, მტერთა ვერა გვცენვნებანი.
შევედრებოდეს მამისა ტახტზედა დასაჯდომელად,
ყმამან გლახ იწყო ტირილი, სდის ცრემლი შეუშრომელად,
ვით ღირს ვარ ვიქნე მამისა, მე ადგილსა მდგომელად,
ვითა ვემსგავსო ლომ-გულსა, მბრძოლთათვის რისხვით მწყრომელად.
არა რა მიგავს მე მისსა სიბრძნესა მკლავმაგრობასა,
ვერა ვიქ მისებრ ფიცხელად ისრისა მტკიცედ სროლასა;
რამცა ვამსგავსო მე მისსა სიმხნესა მამაცობასა,
ვინცა ისმინონ, შევიდნენ უცილოდ ჩემსა გმობასა.
არა მოეშვნენ მთავარნი სულიერ-ხორციელები,
შავი განხადეს, შემოსეს ტანსა სამეფო ჭრელები,
სცხეს მეფედ, დასვეს ტახტზედა, ახადეს ყოველთა ბნელები,
მოვიდნენ სპათა სპასპეტნი ლომნი და გულად ქველები.
საყვირსა უცეს, გამრავლდა მუნ მეფობისა ქებანი,
მიესმათ ყოველთა კიდეთა; ჰყვეს სლვისა მოსწრაფებანი,
გიორგის განდიდებისა იყო მძლედ ლაღაღებანი,
შეკრბა სიმრავლე ხოსთადა, შეიქმნა გახარებანი.
რა დაჯდა მეფედ გიორგი, მოიწყო სრულად ჯარები,
განსცა ყოველთაზე ღიადი, განმრავლდა საბოძვარები,

*) იხ. «მწყემსი»-ს № 15 1895 წ.

მამისა ჰმსგავსად იგიცა იქმნა სპათ შენაყვარები,
აწჭედრდა რაზმი, მოყრით, მთელი თვისით საყმოთ მზღვარები.
ზარდაგვალა ტაო-კლარჯნი, კვლავ ამტკიცა ერთ გულებად,
წიჭნი მისცნა უსაზომო, ოქრო უქმნა განმრავლებად,
ფაწვლ-კარვლ-ალაგაზვლ არავე სხნა ჭულნაკლებად,
ხვლი ჰქონდა სიუხვისა ტოვლთა ზედა მომადლებად.
მოიარა მარდა-რასხით, კასპიელნი დაჭვდენ პურად,
განამრავლეს ნადირობა, ტრფოდიან სამსახურად;
მუწით ტუშან-დადისწელ ხი მოიხრლა მალონ-ყმურად.
ჰმაღლომდიან ჰმსახურებდეს, არავინ ჰყვა გულ მომდურად.
ჰსთხოვს, იწვევს კავკასელთ აჯა ხვეწნითა ქენებით,
მიჰმადლა მათცა თოვანი, ვლიდიან ამოდ სვეწებით;
სად გარდახდიან ძღვენთა და იყო მოლება ცხენებით,
მოვიდოდიან ულალთა მთათა მყოფნი დაშენებით.
ჰაეკასიელნი ყოველნი დახვდიან მოხარულები,
სძღვნეს სამურველნი ტურფანი, მერმართ სამკაულები,
სხვა და სხვა ფერნი ჯაჭვნი და მუხრნი და მტკიცედ წნულები,
ჰმსახურებდიან შვეტრფობით ადრითვე ნაერთგულები.
მეფე მადლის მბრძანებელი საზოძვარსა უმრავლებდა,
მზეებრ ჰფენდა წყალობასა, არა რომელს დააკლებდა,
თუ ვის აქვნდა მამულისა თხოვა, მსწრაფლფლად უსრულებდა,
წყალობისა ძველსა წიგნებს ნებისაებრ უახლებდა.
მუნით იხილა ხაზართა წყლის პირსა მოსახლებია,
ადრითვე ყმანი ერთგულნი, მრავალნი თანახლებია,
მათთვისცა ნიჭის უხვებით ბოძება არ მოჰკლებია,
იგიცა ჰსძღვნიდენ დიადთა, რაც მათში კეთილებია.
ძალით აბაზას მხილველმან მთელი შავის ზღვის კიდესა,
ყირიმის ზღვრადმდე ყოველნი ყმანი ძღვენს მოართმიდესა,
გულს დაუფენდეს, ჰმონებდეს პურობას გამართვიდესა,
კიპრიულ პალესტინურსა ღვინოსა ხშირად სმიდესა.
ზანაგო[illegible]ოვლნი კიდენი, მყოფნი სამეფოს ყმობისა,
მუნით მო[illegible] სატახტოს, იქმოდა პურადობასა,
გასცემდა [illegible]ად, უკლებრად ეწყოდა იეფობასა,
ჰყოფდიან[illegible]ნი სეფურით მაედანს ნავარდობასა.
განძლიერდა მეფობითა, ხვდა სახელის განდიდებას,
გიორგია იხარებდა მისსა ეგზომ ძლიერებას,
ეტრფოდიან გარეგანნი, ჰნატროდიან მისსა ხლებას,
ალამაღლნა მოყვარენი, ორგულნი ჰსცა დღეთ მოკლებას.
ყოველი პირი აქებდა, გიორგის სვეს ჰლოცვიდიან,
სადაცა იყვნენ ორგულნი, შეკრულსა მოართმიდიან,
ჰბასრობდენ ფოლორცს ტარებით, საზიზღრად განჰკითხვიდიან,
ზოგთა სამართლით განსჯილთა ველს სისხლთა მოუღვრიდიან.
ზაწითქვა მისი სახელი ოთხსავე ცისა კიდესა,
სპარსთა მეფისა შიშითა შორად ვლეს, მისარიდესა,
კეისარს მისსა ჰამბავსა ხშირ გვარად მიართმიდესა,
ალძრნენ მისთვის ბერძენნი, გულს შური შეუვიდესა.

კეისრისაგან შეშურება მეფის გიორგის სახელის განდიდებისათვის, ბერძენთაგან აღბორგება ქართლოსიანთა ზედა, შეკრება ბერძენთა რაზმისა და კეისრისაგან დიდის დიდებით და სპით სიმრავლით მოსვლა ქართლის საზღვარსა ზედა და მეფის გიორგისაგანცა მოწვევა ლაშქართა თვისთა და წინა მიგებება მათი.

ბერძენთა ჰკადრეს კეისარს სიტყვა არ მოსაწონები,
განდიდნა მეფე გიორგი, არს არღავისი მგონები,
იშვებენ მისთვის ქართველნი, ემატათ მკლავთა ღონები,
სჯობს შევიკრიბოთ ლაშქარი, ვჰყოთ ქართლი დანალონები
კეისარს ესმა მთავართა სიტყვანი საგულისონი,
ჰბრძანა, ჯერ არსო ჩვენგანა საქმენი შესატყვისონი,
დღეს არს გიორგი დიდებით, მყავს სპანი საიმისონი,
შევჰკრიბო რაზმი, ვადინო სისხლი მართ ვითა ბისონი.
შეითქვნენ სრულად ბერძენნი, ქართველთზე მუქარობდიან,
იქადდენ თვისის მკლავითა, ამაყად სთამამობდიან,
გახშირდა რაზმი იონთა, ფურცელთა ჰმრავლადობდიან,
გამოემართნენ ზახილით, დასდასად მწყობრ-მწყობრობდიან.
მოხსენდა იონთ შეკრება, კეისრის განძვინებანი,
მეფესა მხნესა გიორგის, ჰბრძანა სპათ მოწოდებანი.
რა უმძიმს ჩემგან კესარსო, არასად უქმენ კლებანი,
მეც მოვიწვიო ლაშქარნი, რადგან მისი არს ნებანი.
შეჰყარნა ყოველნი ივერთა სპასპეტნი, სპასალარები,
უბრძანა, ჰნებავს კეისარს ძალით მიგვილოს მზღვარები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუარა არა სად მიქმნიან საქმე მისდ გასამწარები,
არ მნებავს ცუდად განმრავლდეს ქრისტიანთ შორის მკვდარები.
ვით არჩევთ ძმანო, შევებნეთ ანუ გავეწყვნეთ ზავებსა;
სჯობს არ მიეეცნეთ ორ კერძო საქმესა საზრახავებსა,
ძმა ძმასა ჰკვლიდეს, ცუდია რისათვის შევხვდეთ დავებსა,
ასე სჯობს, მსწრაფლად დესპანნი ჩვენნი შევგზავნოთ ნავებსა.
ზოგთა ჰყვეს მეფის ნებანი, ზოგთა ბრძოლისა წადება,
არ ეთნენ მეფის წადილსა, უმრავლესთ შექმნეს ქადება,
არა ვართ მათგან ნაკლები, რად ვჰყოთ საჭურვლის დადება,
შეჰქმნეს ყოვლ-კერძო საბრძოლად ბერძენთა ზედა მზადება.
მეფე შეჯდა, განამრავლეს ბაირაყი, ალამებია,
წინა გადუდგნენ კეისარს, ვლეს მრავლად ალაგებია;
ორთავე დასცვეს, მივიდნენ სად თვისნი სინორებია,
იდგნენ პირის-პირ მრავალ დღე, მართ ვითა უუბრებია.
ჰბრძანებს მეფე, არა მივსცემ პირველ მიზეზს კესარს ბრძოლად,
თვით თუ იწყებს სისხლის ღვრასა, არცა მე ვხვდე, ცუდად მწოლად.
არ ეკვეთნენ არცა ერთნი, იდგნენ მომზირ მდუმრად მოლად;
თუ ქართველი მიზეზს ჰსცემდა, იქმნებოდა დასაქოლად

**ბრძოლა ძლიერი ბერძენთა კესრისა და ქართველთა მეფისა გიორგი სახელოვანისა, გასტანა მეფისა მისა.**

ბულ-ფიცხელობა ბერძენთა ჰყვეს, ვითა მათი წესია
შეითაკილეს ცუდად ყრა, ჰქნეს საქმე უცოდესია,
შექმნეს მშვილდისა მოწყობა, მახვილნი განალესია,
სრულად მომართა ერთ პირად, რაც მთაში უმჯობესია.
მოეახლნენ ქართველთ რაზმებს, ისრის სროლა შექმნეს ხშირად,
ამიზეზეს სისხლის დაღვრა, ვითა იყვნენ დანაპირად;
სთქვა მეფემან უბრალო ვარ, ვიყავ მტერად არ მომზირად,
აწ მეც მმართებს არ ვვხვდე ჯაბნად, იონთ ვეცნო მამაც გმირად.
ალიბრდღვინვეს ვითა ლომთა მაშინ დას დასად ქართველთა,
მიმართეს განრისხებულთა ვითა ნიანგთა მათ ველთა;
ჩამოჰყრიდიან ურთ ერთი, ვითა ფურცელთა ქართველთა,
ურიცხვად ხოცდნენ იონთა, სხვისა და სხვისა დამართველთა.
მას ჟამსა ახლდა კეისარს შვიდას ათასი რაზმია,
სრულად რჩეულნი ბერძენნი, საჭურვლით შეკაზმია,
თუმცა იგულონ, უცილოდ შემუსრონ მათ ხვარაზმია,
სპასპეტნი ხმობდენ, ძიეელო, მებრძოლო ნუღა დაზმია!
გაძნელდა ბრძოლა, მეომართ შეექმნათ შემოკივილი,
შენივთდა რაზმი, გულოვანთ აქვნდათ ხმა-მაღლად ყვირილი,
გამრავლდა მკვდარი, დაკოდილთ შეედვათ წყლულთა ტკივილი,
დია შეექმნათ ბერძენთა ომად მისვლისა ჩივილი.
მდინარებრ სისხლი მოკვდავთა ჰგავს ღვარად ძონადენია,
ველნი აღივსნენ მძოვრითა, ვით ქვიშა დანაფენია,
გულს დაუმძიმდა კეისარს ქართველთა ესთ სიმხნენია,
რაცა უნდოდა ვერა ჰყო, იგ ამად მონაწყენია.
მას დღე მოსწყდა კეისრისა მეომარნი ათი ბევრი,
გულოვანნი უპატიოდ ველ ეყარნენ ვითა ტევრი,
დაუდუმდათ გლახ ბერძენთა მოქადული, ენა მჭევრი,
იყო მკვდარი მკვდარსა ძედა ვრცელ მინდორთა დაუტევრი.

**გიორგი ქართველთა მეფისა მიერ დესპანისა მიგზავნა კეისარსა თანა ზავისა პირისათვის.**

შეჰბრალდა ქართველთ მეფესა, ჰბრძანა ბრძოლისა ყენება,
უკმოარიდა ლაშკარი, ჰყვეს ჟამად იონთ სვენება,
ავლინა შუა დესპანი, ზავისა პირი ენება,
შესთვალა კესარს, მეფეო, ისმინე ძმისა ქენება.
ჩვენსა შუა მტერობისა რა ძეს საქმე საბრძოლეელი,
ქრისტეს მოსავთ სისხლთა მიერ სრულ მოირწყო ესე ველი!
არ მიგერჩი, რას მომერჩი, ტახტოსანი ძველის ძველი,
უმიზეზოდ რად განძვინდი, ესე არსო საკვირველი!
რა გაგვა, ვიჯდე ტახტზედა მეფე შენისა სჯულისა,
მე შენთა მტერთა დავშალო გაგება განზრახულისა,
ურწმუნო ერთა შეუდვა კვლა შემატება წყლულისა,
რასაცა ჰლამი, არა არს საქმე ბრძნად გასწავლულისა!..
არ მოგცემს მაგას, ირწმუნე, შენ ღვთისა სამართალია
ალილო ქართველთ მეფობა, მე წელსა მებას ხმალია!
გაქვს მორჭმა ყოველთა ზედობით, ვიცი ყე არ ახალია;
გარნა მეფობა ქართველთა კვლა მხეებრ გამჭირვალია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისა, ფარნაოზ პირველი ძველადვე განდიდებულა,
მას აქეთ ქართლსა მეფობა ვითვარდი აღყვავებულა.
პორფიროვანთა შთამოსვლა უძრავად დამკვიდრებულა;
სკიპტრა და სფერო გვირგვინი ზეგარდმო განშვენებულა.

ზამენია, მეფე მირიან ოდესცა ნათელ-ღებულა,
ქრისტეს სახელის მიღებით კვლავ უფრო ამაღლებულა;
ოთხსავე კიდეს მებრძოლნი მისის ხმლით შეშინებულა,
კოსტანტინ დიდი მისდამი ვით მამა შეზავებულა.

აქვსთ ბერძენთ წერით მოთხრობა მეფისა გურგასლანისა,
მის ლომგულისა გმირისა, საკვირვო სპათა მძლევანისა,
სინდთა ინდო და აბაშთა საუნჯეთ გამომტანისა,
სპარსთა, ბერძენთა, არაბთა მართ სამზღვრით გარ გამყვანისა.

მისგან შეძრწუნდა კესარი, თქვენებრვე კათედრს მჯდომარე,
პონტოელთ ტყვენი შეპყრობით ჰყვა რიცხვით მოუწთომარე;
შეშინდა დიდი მონარხი, მისგან შეიქმნა მკრთომარე,
შეზავდა, ქალი სძლად მოსცა, დააცხრო გულით მწყრომარე.

მის გამო მეცა კეისრის ვარ შვილი ნათესავია,
ისე სჯობს, ვიყვნეთ მშვიდობით ურთიერთის საესავია;
დავაცხროთ ბრძოლა, სისხლის ღვრა, მივსცეთ მშვიდობის ზავია,
შფოთის დაცხრობა ჩვენ შორის არ არის საზრუნავია.

მიიღო მეფის დესპანი, თვით-მპყრობელს მოახსენა მან,
რა მოისმინა, განრისხდა, სრულად მოიცვა წყენამან;
სთქვა, გული გესლით ამივსო ამა ამბისა სმენამან,
სრულ აღვაოხრო ქართველნი, იცისო ეგე ზენამან.

კეისრისაგან მეფისა შეთვლილობის პასუხად განრისხება
და დესპანის უკუ ბრუნება ქადილით.

შესთვალა: ვიცი, მეფეო, ხარ გულით გალაღებული,
ძალსა იქადი, მახვილი გიჭირსკა გაპასრებული;
აწ გაგეჩნდების ჩვენ შორის ვინც დარჩეს ძალ მოკლებული,
ხვალე მოუშვა შენ ზედა რაზმები განრისხებული.

თუ მამაცი ხარ, დღესიდგან ომსა ნუ უზაბუნდები,
უბრძანო ჩემთა სპასპეტთა, აღკაზმონ თვისნი გუნდები,
ჩემთა დროშათა სიმრავლით მზესა შეედვას ბუნდები,
გაჩნდების თუცა სისხლისა ღვრათა არ შეუძრწუნდები.

ესე სიტყვა დაასრულა, დესპანს აძლევს საჩუქარსა;
დადრკა მდაბლად თაყვანისცა, გამოვიდა გარე კარსა,
უკმოიქცა, თვისსა მეფეს ჰკადრებს მისგან ნაუბარსა,
განეცხადა საქმე ესე ყოველთ ქართველთ სპასალარსა.

სთქვეს ვითათბიროთ, ვითა სჯობს საქმისა მოგვარებანი,
შეიქმნა რჩევა, მუნ იყო ყოველნი მეფის კრებანი;
სთქვეს, ზავივე სჯობს, მშვიდობის კვალად ვჰყოთ მოხსენებანი,
ზოგთ დაამტკიცეს გულითა ბრძოლისა მოწადებანი.

მეორეს დღესა დაწყეს ბერძენთა ჯარი სრულები,
მოდგნენ ამაყად პირის პირ საომრად დარაზმულები,
ბრდღვინვიდნენ ვითა მხეცნი და საქმითა განძვინულები,
სწადოდათ ექმნათ ქართველთზე თვისთ გულთა განზრახულები.

მხად შეხვდნენ ლომნი ქართველნი, შეიქმნა კვეთებანია,
შუბსა მიენდვნენ, რანიცა არნ ქებულ გულოვანია;
არღა რიდებდენ სიკვდილად, იყო სასტიკი ხმანია,
გამრავლდა სახელოვანთა მებრძოლთა გადმოყრანია.

ვითა ფურცელნი ქართაგან, ეგრეთ მუნ სპანი ცვიოდეს,
სრულ აღიზახნეს ერთობით, მახვილით მიმორბიოდეს,
ჵე, გულოვანნო ქართველნო, ერთი ერთს შეუყიოდეს,
ნუ გვაგვა, მოვსწყდეთ მეფეთ თვის, რა არს თუ წყლულნი გვტკიოდეს!

მეფეს თუმცა არ ენება ღვრა სისხლისა ეზომ დიდად,
გარნა გული კეისრისა ვერვინა ჰყო დანამშვიდად;
ნიჭთა გასცემა სპათა ზედა, არის უნჯთა გამომზიდად,
ახალისებს ღვრად სისხლისა, არა იყო მისთვის მრიდად.

გამრავლდა ღვარი სისხლისა, გაჩშირდა ტევრად მკვდარია,
ორთავე კერძო მიეცათ მათ ჟამი გასამწარია;
ქართველნი მოსწყდეს, არ ჰყვანდათ მლმობელი შემსუდარია,
ოცი ათასი უსულო მიწათა ქვემდებარია.

კვლავ ბერძენთაგან მოსწყვიტნეს ასისა ათასობანი,
გლახ გაუკუღდათ ქართველთზე ქედ-ფიცხლად ამაყობანი.
კეისარს უმძიმს ლაშქრისა თვისისა მძლედ დამხობანი,
შეედვა თვისთა განზრახულთ სინანულითა ხმობანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ახალ-გაზდა მღვდლის ფიქრები.

(დასასრული *)

გავითვალისწინოთ ახლა ჩვენი სასულიერო წოდების აწინდელი მდგომარეობა, ვიკითხოთ—ჩვენ რიღათი ვხელმძღვანელობთ ჩვენის მოვალეობის აღსრულების დროს?—გადაჭრით უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენც მიხედულობით; მაგრამ, სამწუხაროდ და სავალალოდ, ჩვენი „მიხედულობა-მიბაძვით“ მოქმედება დიდად განირჩევა „ზემოხსენებულის“ მოღვაწეობისაგან.—მაშინ, როდესაც მათ (ლიტერატორთა) «მიხედულობითს» მოღვაწეობას სარჩულად უძევს მტკიცე, წმინდა და ქვეყნისათვის სასარგებლო აზრი, ჩვენს «მიხედულობითს» მოქმედებას—აზრი ყველადგან გასაკიცხავ-საგმობელი—სიზარმაცე. პირველნი მოქმედებენ ერთგულად, ჰხედავენ რა თავიანთ თანა-მოძმეთ, თანა-მუშაკთ, ერთგულადვე მშრომელ-მოღვაწეთ, და ჩვენ კი, ჩვენი სამოქმედო ასპარეზი მარტო წირვა-ლოცვით შემოგვიფარგლავს, ვხედავთ რა ჩვენსავე თანა-მოძმეთ ამნაირავე ნაბიჯით მავალს თვის მოვალეობის აღსრულების დროს,—და ამ გარემოების წყალობით კიდევ, როდესაც პირველნი საზოგადოების სასიქადულო და სანატრელ წევრებად ითვლებიან, ჩვენ თითქმის „მუქთაჭამად“ და ყველადგან გასაკიცხ წოდებად გარდავქმნილვართ. აი, ამნაირი მსჯავრი გვდევს საზოგადოებისა, და საზოგადოების მსჯავრი კიდევ ხომ იშვიათად არის შემცდარი!..

მართლაც, რა უნდა ქნას მოწინავე, განათლებულმა დასმა, რომელიც მუდამ ხალხის, თვის მოყვასთა კეთილ-დღეობისთვის ზრუნავს, თუ კი მხარს არ დაუჭერენ ისინი, ვინც უფრო ხალხთან ახლოს დგას, თუ კი ეს უკანასკნელნი არ შექმნებიან პირველთ იმისთანა, თუ კი ასე ითქმის, მილად, რომლის საშუალებით სათავიდგან ჩავარდნილს კეთილს მარცვალს შეეძლებოდეს გაჭირვებულის კალთაში ჩაცემა?! ვინღაა კიდევ ხალხთან ისე დაახლოვებული, როგორც სასულიერო წოდება?

დროა, ჩვენმა სასულიერო წოდებამ აიხსნას მარცხვენილი საზოგადოების მსჯავრი, დროა დაიბრუნოს მან ის სახელი, რომლითაც იდიდებოდა იგი წარსულთა საუკუნეებში!

*) იხ. „მწყემსი“-ს № 14 1895 წ.

ვიმეორებ, მე არა ვჯერობ, რომ რამდენსამე ჩვენგანს გულითა და სულით არ უნდოდეს, იმისთანა მომღვრათ ყოფნა, როგორსაც დრო და საჭიროება მოითხოვს; მაგრამ, როგორც ვსთქვი ზევით, რა ქნას ერთმა-ორმა, როდესაც მათ გვერდში არ უდგანან თანა-მოაზრენი, მშრომელნი, რომელთაც ჭირშიც და ლხინშიც ენუგეშებ-ეიმედებანათ. აქ იბადება სასოწარკვეთილება, სულით დაცემა და ჟიითონ ულის მიტოვებაც...

ჩემის აზრით, რომ დავიბრუნოთ წინანდელი სამღვდელოების სახელით გაბრწყინვებული დრო, რომ შევიძლოთ ადრინდელის განწყობილებით საზოგადოებასთან დაკავშირება, რომ შეძლებისა მებრ დავუახლოვდეთ ჩვენის ცხოვრება-მოქმედებით ქრისტეს იდეალურს მომღვრებას, აუცილებლად გვეჭირება შემდეგი:

1. შესდგეს ჩვენგანვე საზოგადოება, რომელსაც მიზნად უნდა ჰქონდეს—იზრუნოს ხალხის ზნეობა-სარწმუნოების და გონების განვითარებისათვის.

შენიშვნა 1. საზოგადოებას განსაკუთრებით უნდა შეადგენდეს მთელი ეპარქიის ბლაღოჩინნი, რომლებიც საზოგადოების წევრებად უნდა ითვლებოდენ.

შენიშვნა 2. შეუძლიათ არა წევრთ-მღვდლებსაც დასწრება საზოგადოების კრებებზედ რჩევა-დარიგების უფლებით, მაგრამ უკენჭოდ.

2. საზოგადოება შეიმუშავებს და ყველა თანამოძმეთა წოდებათ ადგენს სავალდებულოდ სამოქმედო პროგრამმას თვის მიზნის მისაღწევად.

3. იმ განზრახვით, რომ საზოგადოების მიზანი, მისი პროგრამმა ზედ-მიწევნით იყოს შესრულებულ-განხორციელებული მთელს ეპარქიაში, რომ საზოგადოებას შეძლება მიეცეს უფრო ნათლად შეიგნოს ხალხის ცხოვრება-საჭიროება ყველა თითქმის მივარდნილ კუთხეებშიაც, იგი იარსებს: 1, სამაზრო განყოფილებებს და 2, საბლაღოჩინო კრებებს.

I საზოგადოება და მისი მოქმედება [2]),

4. წელიწადში ერთხელ, დანიშნულს ადგილს

1) წევრებად ბლაღოჩინებს ვასახელებთ იმიტომ, რომ ეს ადგილები უჭირავთ უფრო განათლებულ მღვდლებს და გარდა ამისა თვის საბლაღოჩინოში იგინი არიან უფროსნი მბრძანებლები, და მაშასადამე უფრო გავლენიანი პირნი.

2) უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ჩვენ წერილში აღვნიშნავთ მხოლოდ უმთავრესს, საზოგადო მუხლებს და არა კერძოთ, ვრცლად,—რაც, რასაკვირველია უნდა დაევალოს თვითონ ახლად შემდგარს საზოგადოებას.

ინიშნება საზოგადოების წლიური კრება, რა დროსაც იგი განიხილავს—ა) თუ როგორ ერთგულად და მუყაითად ეკიდება საქმეს საზოგადოების სამაზრო განყოფილებანი და ყველა წევრი—ბლაღოჩინი მისდა რწმუნებულის სამღვდელოებითურთ; ბ) განიხილავს აგრეთვე ჟურნალურ დადგენილებათა საზოგადოების სამაზრო განყოფილებათა და საბლაღოჩინო კრებათა იხ. 10 §); გ) იკვლევს და იძიებს სხვა და სხვა ნაკლულევანებას ხალხის ცხოვრებაში და საშუალება ღონისძიებას მათ მოსასპობლად, რაიც შეტანილ უნდა იქნეს საზოგადოების სამოქმედო პროგრამაში.

5. ყოველგვარ გარდაწყვეტილება-დადგენილებაზედ, მოხსენებაზედ და საზოგადოდ ყოველ საჭიროების მოქმედებაზედ შესდგება ჟურნალი, რაზედაც ხელს აწერენ ყველა წევრნი.

6. სასჯელი, რომელიც შეუძლიან საზოგადოებას მიუსაჯოს დამნაშავე წევრთ და არა წევრთ: შენიშვნა, ნამსახურებით ფურცელში აღნიშვნა და უმაღლეს მთავრობის პასუხის გებაში მიცემა.

## II სამაზრო განყოფილებანი.

7. სამაზრო განყოფილებათა რიცხვი იმდენია, რამდენი მაზრაც შეადგენს მთელს ეპარქიას და თვითეულ მათგანში წევრებად ითვლებიან მხოლოდ იმ მაზრისავე ბლაღოჩინნი.

8. წელიწადში ორჯელ ინიშნება კრება სამაზრო განყოფილებათა განსახილველ-შესამოწმებლად—ა) თუ რანაირი ნაბიჯით მიმდინარეობს საზოგადოების საქმე მათ მაზრაში; ბ) მოსახსენებლად საზოგადოების წლიურს კრებაზედ ადგენს ყოველგვარს ცნობებს, თუ რა დაბრკოლება შეხვედრიათ მათ საზოგადოების მიზნის აღსრულების დროს; რომელსამე საბლაღოჩინოში იყო ამ გვარი დაბრკოლება, თუ საზოგადოდ მთელს მაზრაში? გ) რა უჭირს კიდევ სამწყსოს და სხ. და სხ.

## III საბლაღოჩინო კრებები.

9. საბლაღოჩინო კრებებს შეადგენენ თვითონ ბლაღოჩინი მისდა რწმუნებულ საბლაღოჩინო სამღვდელოების და საეკკლესიო სამზრუნველოთა წევრებითურთ. (იხ. 11 §) კრებები მათი, რაც შეიძლება, უნდა იყოს ხშირი.

შენიშვნა 1. ამ დაწესებულებას უდიდესი აზრი ის არის, რომ ბლაღოჩინი, როგორც მახლობელი უფროსი, აფხიზლებს ყველა თვის მღვდელთაგანს ფხიზლად იყოს თავის მოვალეობაზედ.

შენიშვნა 2. სამოქმედო პროგრამა საბლაღოჩინო კრებებისათვის მშვენივრად არის აღნიშნული «სასულიერო კონსისტორიის წესდებაში».

10. როგორც სამაზრო განყოფილებისათვის, აგრეთვე საბლაღოჩინო კრებებისათვის 5 § აუცილებელ საჭიროებას შეადგენს.

11. ყველა შტატის ეკკლესიებთან არსდება საეკკლესიო სამზრუნველონი, რომელთა წევრებად ირჩევიან უფრო განათლებულნი, უფრო ხალხისათვის გულშემატკივარნი.

შენიშვნა. მათი სამოქმედო პროგრამა იხილე «სასულიერო კონსისტორიის წესდებაში».

12. საზოგადოებას უნდა ჰქონდეს საკუთარი ჟურნალი, ყოველ კვირეული, ანუ ყოველ თვიური, რომელიც უნდა ემსახურებოდეს მის ინტერესებს *).

მღვ. ალ. ჯალიაშვილი.

## პედაგოგიკის ისტორიიდგან.

(გაგრძელება *).

ორიგენი დაიბადა 185 წელს ქრისტეს შემდეგ. ის იყო შესანიშნავი განათლებული პირი თავის დროზე. იმისი მოქმედება—მოღვაწეობის მიზანი იყო დაახლოვება—შეკავშირება ქრისტიანობასთან ძველის პოეზიისა და ფილოსოფიისა. ორიგენის აზრით, ქრისტიანობა იგივე ჭეშმარიტი ფილოსოფია და პოეზიაა,—ქრისტიანობრივი სწავლა გაბნეულია ძველი საუკეთესო ფილოსოფოსების და პოეტების ნაწარმოებთა შორის. ორიგენი უსასყიდლოდ ასწავლიდა მოწაფეებს. სწავლების დაწყებამდე ის სხვა და სხვა კითხვების საშუალებით გამოსცდიდა მოწაფეებსა და სცდილობდა შენიშნული მათში ნაკლულე-

*) თუ საზოგადოებას შეძლება არ ექნება, შესაძლოა ისარგებლოს აწ უკვე არსებულ სასულიერო ჟურნალებით.

*) იხ. „მწყემსი“-ს მე 5 №.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანებანი განედევნა. ამით ის ამზადებდა ნიადაგს, რომელშიაც სთესდა სხვა და სხვა ცოდნათა თესლებსა. პირველად ორიგენი მოწაფეებს დიალექტიკას ასწავლიდა, — ამ საგნის სწავლებით მოწაფეს უვითარდებოდა ლოღიკური მსჯელობის ნიჭი და ჰაზროვნება; — ამასთან ერთად ასწავლიდა ბუნების მეტყველებასაც; ორიგენი აცნობდა მოწაფეებს თითოეულს საგანს ბუნებისას დაწვრილებით, შემდეგ ასწავლიდა გეომეტრიას და ვარსკვლავთ — მრიცხველობას. მხოლოდ ამის შემდეგ ორიგენი აცნობდა მოწაფეებს ზნეობითს მოძღვრებას, ის სცდილობდა, რომ მოწაფეს თავისი თავი შეეცნო, ეცნო და შეჰყვარებოდა ღმერთი და კეთილ-სათნოება. ის ამავე მიზნით უკითხავდა მოწაფეებს ძველი ფილოსოფოსების და პოეტების საუკეთესო ნაწარმოებსა. ის გაფაციცებით ადევნებდა თვალ-ყურს მოწაფეების სწავლა განვითარებას და იყო მათი გონიერი და ბრძენი ხელ-მძღვანელი. სწავლება საღმრთო წერილის ვრცელი განმარტებით თავდებოდა.

**წმ. იოანე ოქროპირმა** (დაიბადა 347 წელსა) მიიღო თავის დროის შესაფერი განათლება. იმისი ჰაზრით, სწავლა-აღზრდის მიზანია — აღამაღლოს ბავშვის ბუნება ქრისტიანობითის მოძღვრების ზედგავლენის ქვეშ. ეცადე — ეუბნება ის დედას — უპირველეს ყოვლისა რომ შენი შვილი აღიზარდოს ქრისტიანობრივის სიბრძნის ზედ-მოქმედებით, — ეცადე გაიწმინდოს შვილის სული ყოველთა ცუდთა გრძნობითა და მიდრეკილებათაგან. გააცვნე მას საერო ლიტერატურაც, მაგრამ ამასთანავე თუ ზნეობით არ განავითარებ, ის ნამდვილი ადამიანი ვერ გამოვა. ნამდვილს ადამიანად გახდომა ბავშვისა, მისი კაცური კაცობა-კი, მიზანია ჭეშმარიტის აღზრდა-განვითარებისა.

შეგნება, შეთვისება და შეყვარება სარწმუნოებისა აუცილებელს საჭიროებას შეადგენს ბავშვებისათვის. ბავშვი ადვილად ითვისებს ყოველსავე მას, რასაც ისმენს; მისს სულში ადვილად აღიბეჭდების ყოველივე, რასაც კი გრძნობს იგი. ამიტომ ბავშვს უნდა იმ თავითვე გააცნო სარწმუნოებრივი სწავლა, რომელიც მასთან დარჩება თვით სამარემდის, უკეთუ იგი ღრმად შეეთვისება და შეესისხლ-ხორცება მისს სულიერს ბუნებას არსებობის. პირველ დღეებიდგანვე ბავშვი იწყებს სიარულს ან სიბოროტის და ან სიკეთის გზაზედ, როდესაც სიცოცხლის დასაწყისშივე, მისს ცისკრის ჟამსვე, ვცდილობთ ბავშვს კეთილი შევაყვაროთ და ბოროტი შევაძულოთ, შემდეგში, კეთილი შექმნება ბავშვის მეორე ბუნებად, მისს შინაგანს ვითარებად, მისს მძლეთა-მძლე მოთხოვნილებად; ამ შემთხვევაში ბავშვი ძნელად და შეიყვარებს სიბოროტეს. თუ ბავშვი მომავალში ბოროტი ადამიანი გამოდის, ამაში ჩვენი უზრუნველობა და დაუდევრობაა დანაშაული. ხშირად ბავშვი მიგვყავს სხვა და სხვა სიხუმარო გასართობების საცქერად და საყდარში კი არ ვატარებთ; ბავშვი ხან და ხან თუ მიდის საყდარში, მიდის მხოლოდ დროს გასატარებლად, გასართობად; სხვა უმაღლესი მიზანი კი არა აქვს მას. ეს ასე არ უნდა იყოს ძლიერ გულ-გრილად ვეკიდებით ბავშვის ზნეობითს აღზრდას და ამიტომაც ყოველივე წუთისოფელში უკუღმა მიდის: ბოროტება ძლიერდება და სიკეთე კი დაჩაგრულია. უმთავრესად შვილის აღზრდაზედ დედამ უნდა იზრუნოს: ვინაიდგან მამა იმდენად მოცლილი არაა ბავშვის აღზრდისთვის. თანამედროვე საზოგადოებას იოანე ოქროპირი ურჩევს, ახალი თაობა აღზარდოს მონასტერში, სადაც ბერები სცხოვრებენ მსგავსად ანგელოზებისა. ის წინააღმდეგი არაა მეცნიერების შეძენისა, — მაგრამ სცდილობს — დაჩაგრული კეთილ-სათნოება აღამაღლოს. იმის ჰაზრით, როცა სული კეთილია, იმისთვის საზიანო არაა უცოდინარობა, გაუნათლებლობა, — ბოროტი კაცი, თუნდაც დიდად განათლებულიც იყოს, მაინც მავნებელია საზოგადოებისათვის და თავის თავისთვისაც. როდესაც ბავშვი გაიწრთვნება კეთილ ზნეობაში, როდესაც მას გაუმტკიცდება სიყვარული კეთილისა, მასუკან შეიძლება შეასწავლოთ სხვა და სხვა მეცნიერება. მაშასადამე წმ. იოანე ოქროპირი ურჩევს მშობლებს და აღმზრდელ-მასწავლებლებს, უპირველს ყოვლისა იზრუნონ ბავშვის ზნეობითს აღზრდისათვის, რომლის საფუძველზედ დამყარებული გონებითი განვითარება ხდის ბავშვს ნამდვილს ადამიანად, სასარგებლო წევრად საზოგადოებისა... თითქმის ყველა საუკეთესო პედაგოგები ძველის დროისა ამავე ჰაზრისანი არიან. მართლაც, სკოლამ და ოჯახმა უპირველეს ყოვლისა ბავშვი უნდა აღზარდონ და არა მარტო სხვა და სხვა ცოდნანი ჩაუჩყონ თავში. როგორც «სარწმუნოება თვინიერ საქმეთასა მკვდარ არს», ეგრეთვე ცოდნა თვინიერ კეთილი საქმეებისა — მშრალია, უმარილოა. ვინც არის ბრძენი და მეცნიერი, წმ. იაკობ მოციქულის არ იყოს, უნდა აჩვენოს თავისი სიბრძნე და ცოდნა კეთილი საქმეების ჩადენით. მაშასადამე, არ სცდება წმ. იოანე ოქროპირი, როდესაც იგი ჰქადაგებს ბავშვის ზნეობითს აღზრდაზე უმთავრეს ყურადღების მიქცევას, იმ პირთა წინააღმდეგ, რომელნიც ამ აღზრდას არავითარს ყურადღებას არ აქცევდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წმ. ვასილი დიდი იყო ღრმად განათლებული პირი, რომელმაც თვისი ცოდნა შესწირა ქრისტიანობის საქმეს. ის არაა წინააღმდეგი საერო განათლებისა. ის ურჩევს მოწაფეებს, აღმოჰკრიფონ ძველი ფილოსოფოსების და პოეტების ნაწარმოებთაგან ყოველივე ის, რაც კი სასარგებლოა კაცის ზნეობითის სიფაქიზისათვის. მაგრამ ქრისტიანმა უნდა ეძებნოს საუნჯენი მომავლის ცხოვრებისა,-ამ საუნჯეებს აცნობებს მას საღმრთო წერილი. საერო ნაწარმოებთა შესწავლამ უნდა მოამზადოს ბავშვი საღმრთო წერილის შესწავლისთვის. საქრისტიანო მოძღვრების სხვა და სხვა ჰაზრები გაბნეული არიან საერო ნაწარმოებთა შორის,-როდესაც ამ ჰაზრებს გავეცნობთ ასეთთა ნაწარმოებთა შესწავლით, მასუკან აღარ გაგვეძნელდება საღმრთო წერილის შეგნება. პოეტური ნაწარმოები ჰომიროსისა სხვათა შორის გამოხატავს დაუღუმებელს ქებათა-ქებას კეთილ-სათნოებისას; საქრისტიანო მეცნიერებას აქვს რაღაც შინაგანი, ნათესაური კავშირი საერო მეცნიერებასთან; აი ეს კავშირი უნდა გაიცნოს მოსწავლემ, რომ ამით უფრო კარგად დააფასოს საღმრთო წერილის ღირსება. წმ. ვასილი დიდი ბერებს ავალებს ბავშვების აღზრდას. დამნაშავე მოწაფე მარხვით და ლოცვით უნდა გაასწორონ. დასასჯელ ზომებად სხვათა შორის უნდა იხმარონ: უსადილოდ დატოვება, და დაჯდომა «За голоднымъ столомъ,—უკანასკნელს შემთხვევაში მშიერმა ბავშმა უნდა უცქიროს თვის ამხანაგებს იმ დროს, როდესაც ესენი საჭმელს შეექცევიან. მონასტერში ბავშვებს საკუთარი ბინა უნდა ჰქონდესთ. მათი მეთვალ-ყურეობა უნდა მიენდოს გამოცდილს მოხუცს ბერს. ბავშვებს თვალ-ყური უნდა ადევნონ შორიდგან, და თვით-თვის დროს არ უნდა მოაკლონ მათ დარიგება და დასჯა. *)

ილ. ფერაძე.

*) ჩვენის წერილების: „პედაგოგიკის ისტორიიდგან" შედგენის დროს ჩვენ ხელთ გვაქვს შემდეგი წყაროები: «Очеркъ исторіи воспитанія и обученія съ древнѣйшихъ временъ до нашихъ дней Л. Н. Модзалевскаго. 2) Исторія всемірной педагогики Паротца; 3) Очерки изъ исторіи педагогики Ельницкаго. 4) Esquise d' un système complet d'instruction et d' education et de leur histoire—par Theodore Tritr. strasbouq 1841. ამავე ისტორიის შესასწავლად ჩვენ გავეცანით კიევის სასულიერო აკადემიაში და კიევისვე უნივერსიტეტში წაკითხული ლექციები პედაგოგიკის ისტორიის შესახებ და აგრეთვე კარლოს შმიდტის საპედაგოგიო თხუზულების რუსული თარგმანი.

ავტორი.

## პედაგოგიური შენიშვნები საერო და სამრევლო სკოლების მასწავლებელთა საყურადღებოდ.

### ლექსები, როგორც ერთი საშუალებათაგანი დედა-ენის შესასწავლად პირველ დასაწყისს სკოლებში.

(გაგრძელება *).

ეხლა ვიტყვით რამდენიმე სიტყვას დროსა და ადგილის პირობებზედ, როდესაც უფრო სასარგებლოა შეურჩიონ ლექსების დასწავლა: ის ლექსები, რომელიც იპყრობს თავის შორის ბუნების და მის მოვლენათა მხატვრობრივ აღწერილობას, უნდა ისწავლებოდეს წლის შესაფერის დროს; მაშინ მოწაფეებს უშუამდგომლოდ შეუძლიათ განხილვა ბუნებისა იმ გვარათ, როგორც სიტყვიერათ გამოხატულია პოეტურ სურათში. ამ დროს ბავშვები უფრო გრძნობიერები და ადვილად შემთვისებლები არიან, მისთვის, რომ თვითონ ბუნება აღვიძებს მათ გულში გონებათა მიქცევას და გრძნობებს. ამ დროს ბავშვებს შეუძლიათ იგრძნონ ლექსის აზრი და თვალსაჩინოთ, დაკვირვებით შეითვისონ იგი. სრული პედაგოგიური უმეცრება იქნება ასწავლონ მოწაფეებს მაგ. ლექსი ზამთარი რაფ. ერისთავისა მაშინ, როდესაც იწყება ბრწყინვალე და ცხოველ მყოფელი გაზაფხული ყველა თავის სიმშვენიერით; ან და მისივე ლექსი «ზაფხული»—ზამთარში. სრული სინამდვილით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ხსენებული ლექსები ვერ მოახდენენ მოწაფეებზედ ისეთს შთაბეჭდილებას, როგორიც შეეძლოთ მოეხდინათ შესაფერისს დროზედ, ე. ი. პირველს ზამთრის დასაწყისში, საშობაოთ ბავშვების დათხოვნის დროს და მეორეს—შუა ზაფხულში. საზოგადოდ წაკითხვა და სწავლება რომელიმე რთული ლექსისა უნდა შეუფარდონ რომელიმე შემთხვევას, ისე რომ ლექსი ან უნდა გამოდიოდეს რომელიმე პროზაიკური სტატიის განმარტებიდგან ან და უნდა შეადგენდეს მისს დამატებას, სხვა ჰქონდეს რომელიმე წაკითხულს მოთხრობას. მაგ. უკეთესია, რომ ლექსი: «ჯვარი ვაზისა» ისწავლებოდეს მის შემდეგ, როცა მოწა-

*) იხ. «მწყემსი» № 13 1895 წ.

ფეები წაიკითხავენ ისტორიულ მოთხრობას წმიდა ნინო ქართველთა განმანათლებელზედ; სამშობლო ხევსურისა—ფშავ-ხევსურეთზედ სტატიის წაკითხვის შემდეგ და სხ.

ლექსების სწავლება სკოლებში იწყება იმ დღიდგან, როცა ანბანს მორჩებიან; მესამე თვის ბოლოში მოწაფეები სწავლობენ პატარ-პატარა ლექსებს. ლექსების სწავლების საქმე რომ კარგად მიდიოდეს და შეადგენდეს სრულად შეგნებულს ნაყოფიერ მეცადინეობას—საჭიროა, რომ მასწავლებელმა უჩვენოს მოწაფეებს გონიერი, ჩქარი და წესიერი ხერხი ლექსების შესასწავლად. ბავშვები ხანდისხან თვითონაც დაისწავლიან ხოლმე ლექსებს, მაგრამ უთავბოლოდ, პატარ-პატარა ნაწილებს და შემდეგ უაზროთ იმეორებენ სიტყვებს. ამ ნაირი სწავლება უსათუოდ აღკრძალული უნდა იქნეს. პირველად ლექსების სწავლება ზეპირად უნდა წარმოებდეს მასწავლებლის ხელმძღვანელობით. ლექსის წაკითხვისა და ახსნის შემდეგ მასწავლებელი ნელა და გარკვევით გამოთქვამს პირველ ერთს ან ორს ტაეპს ლექსისას, შემდეგ მოწაფეები გაიმეორებენ ამასვე სათითაოდ და გუნდად; აქ დროს მასწავლებელი უჩვენებს ზომას ხელით და აკვირდება, რომ ყველა მოწაფენი ერთსა და იმავე დროს გამოთქვამდენ სიტყვებს და იცავდენ წესიერებას. ბოლოს დასწავლულის ნაწილის გასამეორებლად მასწავლებელი გამოიწვევს სუსტს მოწაფეთაგანს, რომლის პასუხისაგან მასწავლებელი დარწმუნდება, დაისწავლეს ყველამ თუ არა. ამის შემდეგ მასწავლებელი უკარნახებს ქვევით შემდეგს ერთს ან ორს ტაეპს და იმ წესითვე შეასწავლის. შემდეგ ლექსი წაიკითხება ხოლოთი წინა დასწავლულთან შეკავშირებული და სხ. ამ ნაირად ისწავლება ბოლომდის. ამ ნაირი სწავლება ყოველთვის ცოცხლად და მარდად მიდის. ეს წესი ითხოვს მასწავლებლისაგან განსაკუთრებულს ყურადღებას, სიფხიზლეს, მოწაფეების ზედამხედველობაში, რომ სწავლების საქმე უქმ ყბედობად არ გადაიქცეს. როცა მოწაფეები ამ წესით შეისწავლიან რამდენიმე ლექსს ზეპირად მაშინ იმათაც გაუადვილდებათ მთელის აზრის და წინადადებათა ერთად შესწავლა და შემდეგ, მასწავლებლის დაუხმარებლად, თვითონვე დაიზეპირებენ ლექსებს.

თუ სასწავლო წიგნში არ არის მოქცეული იმისთანა ლექსი, რომლის სწავლებაც საჭიროთ მიაჩნია მასწავლებელს, იმ შემთხვევაში შეიძლება ის ლექსი დაიწეროს საკლასო დაფაზედ და წერის გაკვეთილების დროს დაიწერიოს მოწაფეებს რვეულებში; შეიძლება ზოგიერთი სიტყვების განმარტება იქვე ჩასწერონ მოწაფეებმა თავიანთ რვეულებში. ამ ნაირად მოწაფეებს რამდენიმე წლის შემდეგ შეექმნებათ საუკეთესო ლექსთა კრებული. სწავლის დამთავრების შემდეგ რვეულიც მისი სრული საკუთრება შეიქმნება და ექმნება მას სახსოვრად ყმაწვილობის მოსაგონებლად. მოწიფულობის დროსაც არა ერთხელ წაიკითხავს სიყვარულით, რაც ბავშობის დროს უწერია. შეიძლება განიმსჭვალოს კიდეც პოეტური ნაწარმოებისადმი მაღალის აზრით, განეშოროს ცოტა ხნით მაინც ყოველ დღიურს ზრუნვას, წუთის სოფლის სიმუხთლეს და იგრძნოს სიკეთე, სიმშვენიერე და მარადამი მისწრაფება. შეიძლება თავის შვილსაც ასწავლოს ნაწყვეტები მის მიერ ცნობილი პოეტურ ნაწარმოებიდგან და მით მოამზადოს ბავშის გონებაში და გულში ნიადაგი კეთილის მისაღებად. ყველა ამაში არც შეუძლებელია რამ და არც საეჭვო.

უნდა მოითხოვებოდეს მოწაფეთაგან დასწავლილი ლექსების დაწვრილებით დანახსოვრება. მხოლოდ ერთი ლექსის კარგად შესწავლის შემდეგ უნდა გადავიდენ მეორე ლექსის დასწავლაზედ. სიჩქარე არც ამ საქმეში ვარგა. უკეთესია ცოტა შეასწავლოს ბავშმა და კარგად საფუძვლიანად, ვიდრე ბევრი, მაგრამ ცუდად, სუსტად. მოსწავლეებს რომ ყოველთვის შეეძლოთ ნასწავლი ლექსების თქმა, წაკითხვა ზეპირად, ამისათვის საჭიროა, რომ ნასწავლი ლექსი ხშირად იმეორებოდეს. ამით ვათავებთ ლექსების მნიშვნელობაზედ საუბარს, შემდეგ წერილში განვმარტავთ თუ რა მნიშვნელობა აქვს ხალხურ ზღაპრებს, ანდაზებს და გამოცანებს და რა წესით უნდა ისწავლებოდენ ისინი. იმედია, რომ სამრევლო და საერო სკოლის მასწავლებლები უფრო ყურადღებით მოეპყრობიან დაკისრებულ საქმეს და ისე არ მოიქცევიან, რომ სკოლას ბოლო მოეღოს. სკოლა იმისთანა დაწესებულებაა, რომ მან ბუნებრივად, თუ კეთილის ნიადაგზედ არის დამყარებული, უნდა იბარტყოს და არა მოისპოს სამუდამოდ, როგორც ზოგიერთს ადგილებში ჰხდება ხოლმე.

ლ. ბოცვაძე.

## შეწირულებანი.

ბ. რედაქტორო!

ნება მიბოძეთ, რომ თქვენის გაზეთის «მწყემსის» საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადო, როგორც მე, აგრეთვე ჩემდამო ეკკლესიის კრებულმან გუდაუთაში მოგზაურს მიხეილ ბეროს ძეს ბუაძეს, რომელმაც შემოსწირა ქუტირის წმიდის გიორგის ეკკლესიას ოქროთი დაფერილი ბარძიმ ფეშხუმი, ღირებული ას მანეთად.

ვისურვებთ, რომ ამ მაგალითისათვის სხვებსაც მიებაძოსთ.

მღვდელი პავლე ბახტაძე.

—

მ. რ. უმორჩილესად გთხოვთ, ნება მიბოძოთ, რომ თქვენის გაზეთის «მწყემსის» საშუალებით გულითადი მადლობა შევსწირო ივანე სესიას ძე კობახიძეს, რომელმაც შემოსწირა ჩემდამო რწმუნებულ ეკკლესიას შემდეგი ნივთები: ერთი წყვილი მშვენიერი გვირგვინი, ერთი კარგი საცეცხლური და ერთიც კანდელი, ღირებული სულ არა ნაკლებ 30 მანეთისა.

მღვდელი დიომიდე ხონელიძე.


### საყურადღებოდ!

სოფლის სკოლებში მოსწავლეთა სიღარიბისა და შევიწროებულ მდგომარეობისა გამო—მე დავამზადე სასწავლო წლისათვის აუარებელი იაფ-ფასიანი რვეულები:

ასი ცალი 2—3 მ. ნეთამდე. რვეულები შეკერილია სინის ძაფით, გარშემო მტკიცე ქაღალდი აქვს შემოხვეული და თან თითოეულ რვეულს აქვს საშრობი ქაღალდი.

აქვე შეგიძლიათ მოიპოვოთ უფრო იაფ-ფასად ყოველგვარი საკანცელარიო და სასწავლო ნივთები...

მიმართეთ ი. მურადოვის მაღაზიას—ქუთაისში.



საქველმოქმედო

# თამარის

## ნახატიანი

ფოსტის ქაღალდი

ისყიდება თბილისის და ქუთაისის ქართულ წიგნის მაღაზიებში

**თითო ფურცელი თითო კაპეიკად.**

მოგებული თანხიდან ნახევარი შეეწირება ზეპირსიტყვაობის ფონდს და ნახევარიც მოხმარდება იაფფასიან და მუქთად დასარიგებელ **სახალხო წიგნაკების** გამოცემას.

ვისაც სურს გამოწერა შეუძლიათ დაიბარონ ფოსტით დ. ყვირილიდან მიხეილ ბარამაძისაგან.


«მწყემსი»-ს რედაქციისაგან დაიბეჭდა ცალკე წიგნაკად და მალე იქნება გასასყიდლად

ცხოვრება ღირსისა და ღმერთ-შემოსილისა

მამისა ჩვენისა

## გიორგი მთაწმინდელისა,

საღმრთო წერილის ქართულს ენაზე მთარგმნელისა, ათონის ივერიის სავანის კტიტორისა და

სრულიად ივერიის განმანათლებელისა.


**შინაარსი.** არქიმანდრიტი ლეონიდი, მისსიონერი და სკოლების ინსპექტორი კავკასიაში ქრისტ. აღმადგ. საზოგადოებისა.—კიდევ ფუქი და ამაო ზრუნვა მეგრული მწერლობის გაჩენისა და ლოცვისა და ღვთის-მსახურების ქართულიდან მეგრულად გადათარგმნის შესახებ. (დასასრული). დეკ. დავით ღამბაშიძისა.—ახალ-გაზდა მღვდლის ფიქრები. მღ. ალ. ჯალიაშვილისა.—საქართველოს ძველი დროის თავგადასავალი. (ლექსად).—პედაგოგიკის ისტორიიდგან. ილ. ფერაძისა.—პედაგოგიური შენიშვნები საერო და სამრევლო სკოლების მასწავლებელთა საყურადღებოდ ლ. ბოცვაძისა.

განცხადებანი.

შეწირულებანი.



Редакторъ-издатель, П. Д. Гамбашидзе. *Дозволено цензурою. Тифлисъ,* 31 Августа 1895 г.

Типографія редакціи (П. Д. Гамбашидзе). Въ Кутаисѣ, помѣщ. въ д. бр. Ханановыхъ, на Нѣмецкой ул.